



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### ხეცურიანი რამაზ გრიგოლის ძე



რ. ხეცურიანი

ხეცურიანი რამაზ გრიგოლის ძე (დ. 14.V.1949, ცაგერი), ანატომი. მედ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი (2001), საქართველო. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი (2018), საქართველო. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1996).

1973 დაამთავრა თსსი. იყო ამავე ინ-ტის ნორმალური ანატომიის კათედრის ასისტენტი (1978 - 85), დოცენტი (1985 - 90), პროფესორი (1990), კათედრის გამგე (1996, 2006 -იდან დეპარტამენტის ხელმძღვანელი). 1992 - 2005 - თსსუ-ს რექტორი. 2021-იდან საქართველო. მეცნ. აკადემიის მედ. განყ-ბის აკადემიკოს-მდივანია.

ბ. არის მრავალი სამეცნ. შრომის მ.შ. 6 მონოგრაფიისა და 1 გამოგონების (დიაგნოსტიკური ერთროდუფორმატორი) ავტორი. მისი სამეცნ. ინტერესების სფეროა: პლაცენტის სისხლძრღვთა მორფო-ფუნქციური თავისებურებები, ფიზიკური განვითარების აქცელერაცია, ორგანიზმის და მისი ცალკეული სისტემის ასაკობრივი თავისებურებები, ნერვული სისტემის მორფო-ფუნქციური თავისებურებების ასაკობრივი ასპექტები, გულის კუნთის აღნაგობის და ფუნქციის საკითხები.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები მ.შ.: ღირსების (1999), ალბერტ შვაიცერის ოქროს ჯვრის (1997) და მისივე სახელობის დიდი ოქროს მედალი (1999), კემბრიჯის ღირსების (1997), მსოფლიო ბიოგრაფიული საზ.-ბის „ღირსეული პიროვნების“ დიდი ოქროს

მედალი (2000) და სხვ.

არის ა. ნათიშვილის პრემიის ლაურეატი (2018), საფრანგეთის შამპან - არდენის საპატიო მოქალაქე (2000), მსოფლიო ბიოგრაფიული საზ.-ბის თანადირექტორი ევროპიდან (1999), კემბრიჯისა და მსოფლიო ბიოგრაფიული საზ.-ბის ექსპერტი.

ხ. მრავალი საერთაშორისო სიმპოზიუმისა და კონფერენციის მონაწილეა.

*თხზ.*: ადამიანის ნორმალური ანატომია, თბ., (2006, 2011); გულ-სისხლძარღვთა სისტემის ანატომია (თანაავტ.), თბ., 2012; სასუნთქი, ენდოკრინული და იმუნური სისტემის ანატომია, თბ., 2013; თავის ტვინის და გრძნობათა ორგანოების ანატომია, თბ., 2013; ადამიანის ანატომია (ორტომეული), თბ., 2015.

**ს. ბაქრაძე**

---